თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6070792

ნომერი: AR1912689

თარიღი : 01.08.2022

გაცემის თარიღი : 08.08.2022

გაცნობის თარიღი : 08.08.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი გორგასლის , N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა არევაძე პ/ნ 56001003302
- ქ. თბილისი, გურამიშვილის N66ა, პირველი სართული

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 16 ივნისის №AR1912689 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 21 ივნისის №5993811 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6043401 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული. კერძოდ, -3.00 ნიშნულის გეგმაზე დატანილი ღია ავტოსადგომები კვლავ შეყვანილია საერთო ფართობში. ღია ავტოსადგომები ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში არ შედის და აქედან გამომდინარე, საერთო ფართობში ვერ დაფიქსირდება. თუმცა, შესაძლებელია ღია ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება. ამასთან, №077 ღია ავტოსადგომი წარმოადგენს შშმ პირთათვის განკუთვნილ ავტოსადგომს, რომლის ფართობი სრულად არ არის დატანილი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა ღია ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირებასთან დაკავშირებით. ასევე, საერთო ფართობთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საჭიროა წარმოდგენილ იქნას 2022 წლის 21 ივნისის №5993811 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები -3.00 ნიშნულის გეგმაზე №077 ღია ავტოსადგომზე გასწორებული ფართობის დატანით, გეგმარების ცვლილების გარეშე.
ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6043401 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 19 ივლისს, ხოლო განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 01 აგვისტოს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 21 (ოცდაერთი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 21 (ოცდაერთი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 16 ივნისის №AR1912689 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
